ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ

83.3 ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲐᲦ ᲘᲚᲘᲐ ᲔᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ. **Ს**ᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ

ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲐᲦ ᲙᲘ **ლ**ევან **ლ**ავითაუვილი **&70000909**

ფასი: 50 თეთრი

შაბათი – კვირა, 10 – 11 სექტემბერი, 2016

№215 (7141)

374907 7674 37736 "ՇԵՆᲚՄԵԽՄՃ"

საარჩევნო ბლოკი როდესაც იკვრება, ვისთანაც მიდიან პარტიები, იმას აქვს წამყვანი 5 ადგილი, დანარჩენი ხუთ-ხუთი ადგილი კი უნდა გადაენაწილებინათ შემოსულ პარტიებზე. ეს იქნებოდა სწორი. ბურჭულაძეს აქვს რეიტინგი, დანარჩენ 3 პარტიას არ აქვს რეიტინგი. მათ რომ რეიტინგი ჰქონოდათ, იქ კი არ მივიდოდნენ, დამოუკიდებლად იყრიდნენ კენჭს.



ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: **ሐ**ህმህ**&** "ՊԱԵՍՇՈՄ" ՎՍԱՐԵՅՈ ንሮንሐ മുവായാം പ്ര



ნაციონატუიი ფუტი, აიც იუსუტი და აიც კიმინატუიი ფუტი, მაგიამ პაატა ბუიქუტაძის

പ്രാലാലി പ്രവാധിക്കാട്ടി പ്രവാ **JARJ36J23N** 6JBNM6JCN

6 $\frac{1}{2}$ "გանսասշարը, գշանան "Պաններանա



რომან გოცირიძე: "მთავრობა ზღაპრებს გვიყვება"



ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ **ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ 87601301975**35

როგორ აფასებს უცხოური პრესა აშშ-რუსეთის ურთიერთობებს



3749769 9797 377976 374976 374917 374917 3779 37791.


ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე "ახალ თაობასთან" ინტერვიუში პაატა ბურჭულაძის პარტიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

– ბატონო ვახტანგ, პაატა ბურჭულაძის პარტიაში განვითარებული მოვლენები, რომ არათუ ათეულში, სიაშიც არ აღმოჩნდნენ პარტიის სახეები, მაგალითად, ხათუნა ლაგაზიძე, გიორ-გი რუხაძე, რაზე მიანიშნებს?

– ხათუნა ლაგაზიძემ ამ მიზეზებზე ისაუბრა და კარგადაც ახსნა. მე ვიცნობ ხათუნა ლაგაზიძეს. მას კარგი ანალიზის უნარი აქვს და საფუძველი არ მაქვს, არ ვენდო. მის განცხადებას საპარლამენტო სიაც ადასტურებს. სიაში არ არის არც გიორგი რუხაძე და ის აცხადებს, რომ მოგვიანებით გვეტყვის მიზეზებს. მერაბ მეტრეველმა კი თავად გააკეთა განცხადება.

– შეიძლება ხმები, რომ ეს პარტია ნაციონალური მოძრაობის, კონკრეტულად კი სააკაშვილის მითითებით შეიქმნა რეალობაა?



– ბოლო დროს განვითარებული რეალობა, სამწუხაროდ, სხვაგვარი ანალიზის საფუძველს, უბრალოდ, არ ტოვებს. როდესაც ეს ბლოკი შეიქმნა, ვგულისხმობ ვაშაძესთან და "გირჩთან" გაერთიანებას, მაშინაც ვთქვი, რომ შეიძლება გავრცელებული ხმები არ იყოს საფუძველს მოკლებული, მაგრამ შეიძლებოდა ახალ პარტიას, ნაკლები გამოცდილების მქონე ლიდერს, რომელსაც არ ჰქონდა 5%-იანი ბარიერის გადალახვის გარანტიები საარჩევნოდ პრობლემები შეჰქმნოდა და მაინც დავუშვი, რომ მოხდა ასეთი გაერთიანება, მაგრამ ამის შემდეგ განვითარებული მოვლენები სხვაგვარი ანალიზის საფუძველს, უბრალოდ, არ ტო-

ასევე საუბარია ფინანსურ პრობლემებზე, რაც ასევე ეჭვს იწვევს. ეს ფინანსური პრობლემები ხელისუფლე-ბიდან არ მოდის, როგორც ჩანს, მოდიოდა ოდესიდან, იყო გარკვეული გარანტიები, კომპრომისებიც, მაგრამ ვერ მოხდა მათი შესრულება და ფინანსებიც შეწყდა. ეს ერთ-ერთი ვერსიაა. არ შეიძლება ისეთი მოსახვევების გაკეთება, როგორიც ბურჭულაძემ გააკეთა, გული დამწყდა.

– კითხვის ნიშნები გამოიწვია კიდევ ერთმა გარემოებამ – ზურაბ ჯაფარიძე ათეულს მიღმაა. რატომ?

– ეს კიდევ ერთი დამაფიქრებე-ლი გარემოებაა, ზურაბ ჯაფარიძე ათეულს მიღმაა. ის მე-12 ადგილზეა. თუ ვინმე რამეს წარმოადგენს "გირჩში" და პარლამენტში რაიმე საქმიანობა, კონკრეტულად კი კანონების წერა შეუძლია, პირველ რიგში ჯაფარიძეა.

– რატომ არის ის ათეულს მიღმა? რა მოხდა?

– ეს არის საინტერესო, რა მოხ-და? მთავარი ჭიდილი სწორედ მეორე

ადგილზე იქნებოდა – ვაშაძე თუ ჯაფა-რიძე? როგორც ჩანს, გარკვეულმა ძალებმა კულისებიდან გადაწყვიტეს, რომ მეორე ყოფილიყო ვაშაძე, მესამე ადგილს კი ჯაფარიძეს სთავაზობდნენ, რასაც არ დათანხმდა ჯაფარიძე და მესამე ადგილს მე-12 ადგილი არჩია. ამ შემთხვევაში მე ძალიან კარგად მესმის ზურაბ ჯაფარიძის.

საარჩევნო ბლოკი როდესაც იკვრება, ვისთანაც მიდიან პარტიები, იმას აქვს წამყვანი 5 ადგილი, დანარჩენი ხუთ-ხუთი ადგილი კი უნდა გადა-ენაწილებინათ შემოსულ პარტიებზე. ეს იქნებოდა სწორი. ბურტულაძეს აქვს რეიტინგი, დანარჩენ 3 პარტიას არ აქვს რეიტინგი. მათ რომ რეიტინგი ჰქონოდათ, იქ კი არ მივიდოდნენ, და-

მოუკიდებლად იყრიდნენ კენჭს. — გამოდის, რომ ბურჭულაძე არის ამ 3 პარტიის გამწევი ძალა. ეს არის და ეს?

სწორედ რომ მხოლოდ ეს გამოდის და სხვა არაფერი. რეალობა ასეთია.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ბურ-ჭულაძეს საკუთარი პარტია დაეშალა?

– რა თქმა უნდა, ბურჭულაძეს პარტია აღარ ჰყავს. ძირითადი წამყვანი არის ის პარტიები, რომლებიც შეუერთდნენ ბურჭულაძეს. ამ პარტიების ლიდერებიდან ყველაზე გამორჩეული არის ჯაფარიძე, რომელიც სიის ათეულშიც არ არის ანუ გამსვლელ

სიაში არ არის

– გარკვეულ კვალს დატოვებს ეს მოვლენები?

- რა თქმა უნდა, არათუ დატოვებს, შეიძლება ეს ბლოკი ბარიერის გადალახვის პრობლემის წინაშე აღ-მოჩნდეს ამ მოვლენების ფონზე.

– ექსპერტები აცხადებდნენ, რომ პაატა ბურჭულაძე შეუძლებელია რი-გითი დეპუტატის მანდატისთვის იბრძოდეს და მას პრემიერის პოსტის ამბიცია აქვს. ამ ყველაფრის შემდეგ ბურჭულაძის პოლიტიკური კარიერა როგორ შეიძლება განვითარდეს?

– არასდროს მქონდა იმის მოლოდინი, რომ ეს ჯგუფი, თუნდაც ბურჭულაძის ყოფილი გუნდი, არათუ საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებდა, არამედ მეორე ადგილზე გავიდოდა და ნაციონალურ მოძრაობას ჩაანაცვლებდა. თავად პაატა ბურჭულაძეს შეიძლება გარკვეული მოლოდინები ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ მათ ბარიერის გადალახვის პრობლემა შეიძლება დაუდგეთ.

– ამ მოვლენებმა ბურჭულაძის პოლიტიკურ მომავალს დაღი დაასვა?

რა თქმა უნდა. ეს ისეთი ნაბიჯია, რომელიც შეიძლება ვიღაცამ დაივიწყოს, მაგრამ ამას არ ივიწყებს საზოგადოება. დღეს ბურჭულაძეს ამომრჩევლისთვის სათქმელიც აღარ

"ᲝᲪᲜᲔᲑᲐ" ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲣᲡᲬᲠᲔᲑᲡ

მედია პალიტრის ვებ-გვერდებზე ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მონაწილეებმა უპასუხეს კითხვას – ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას? გამოკითხვა 8 სექტემბერს 2 საათის განმავლობაში მიმდი-

ნარეობდა. გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო 11.796 მკითხველ-

მა. მათი ხმები ასე გადანაწილდა:

1. ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო – 33,17%

2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 15,84%

3. პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის — 3.96%

4. საქართველოს ლეიბორის გული პარ გია – 3.65%

5. დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია – 3,51%

6. რესპუბლიკური პარტია – 3,42%

7. ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა — 3,15% 8. თავისუფალი დემოკრატები — 2,84%

9. ეროვნული ფორუმი – 1,27%

10. თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო – 0,59%

11. მემარცხენე ალიანსი — 0,43% სხვა პარტიას — 2,63%

არც ერთ პარტიას – 25,54%.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ **ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ**



ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკის ფორმით იღებს მონაწილეობას. მასთან გაერთიანებულია პარტია, სახელწოდებით — "ევროპული საქარ-თველო".

როგორც ამ გაერთიანე-ბასთან დაკავშირებით "ინტერ-პრესნიუსს" ნაციონალური მოძ-

რაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხა-და, ბლოკის შექმნის მიზანი მეტი საპარლამენტო რესურსის გამოყენებაა.

– ეს არის ჩვენი ძველი მეგობრების პარტია. ეს დაახლოებით ისეთივე პარტიაა, როგორიც შოთა მალაშხიას "ქრისტიან-კონსერვატიული პარტია" იყო. გადავწყვიტეთ, მათთან გაგვეკეთებინა ბლოკი ჯერ ერთი იმისთვის, რომ ეს პარტია გამოცოცხლებუ-ლიყო და წინ წამოწეულიყო და მეორეც იმისთვის, რომ მეტი რესურსი გვქონდეს პარლამენტში ფრაქციის შექმნის თვალსაზრისით, იმისთვის, რომ პარლამენტში მეტი გამოსვლის საშუალება გვქონდეს, მეტი საშუალება გვქონ-დეს სხვადასხვა საპარლამენ-

ტო აქტივობებში მონაწილეmant dalsenjase. dso demant ეს ეხება მეტი ფინანსური რესურსის მიღებასაც, – განუც-ხადა "ინტერპრესნიუსს" მიხეილ მაჭავარიანმა. მისივე ინფორმაციით, ბლოკის შექმნის საკითხზე ვერ

შედგა შეთანხმება შოთა მალაშხიასთან და მან ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობა შეწყვიტა.

– ჩვენ მას შევთავაზეთ, რომ ურთიერთობა ისევ ადგილობრივ არჩევნებზე გაგვეგრძე-

მოგეხსენებათ, ამ არჩევნებისთვის შოთა მალაშხიას აქვს დაფინანსება, რომლის ლომის წილი ჩვენ მიერ არის მოპოვებული, ადგილობრივი თვით-მმართველობის არჩევნებიდან. სამწუხაროდ, მან ამ წინადადებაზე უარი გვითხრა. მას უნდოდა ახლა ყოფილიყო ჩვენთან ბლოკში. ჩვენ პოლიტსაბჭოზე სხვა გადაწყვეტილება მივიღეთ. ჩემდა სამწუხაროდ, შოთა მალაშხიამ ჩვენთან ურთიერთობა

შეწყვიტა. შოთამ გადაწყვიტა, რომ დაფინანსების რესურსი, რაც ჩვენ მაშინ ბლოკში ერთობლივად მოვიპოვეთ, არ გაენაწილებინა. ასევე არც სარეკლამო დრო, იგივე კომისიებში წარმომადგენლობები – ამაზეც შოთამ უარი თქვა, დახმარებოდა რომელიმე პარტიას, ისევე, როგორც მას შეეძლო თავისი კამპანია ეწარმოებინა, მაგრამ ამ არჩევნებში საერთოდ აღარ მონაწილეობს, — განუცხადა "ინ-ტერპრესნიუსს" მიხეილ მაჭა-ვარიანმა.

ინტერპრესნიუსი

ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘᲠᲕᲐᲚᲘᲫᲔᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ



სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე მთავრობაში მინისტრის რანგში არ დაბრუნდება.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა 9 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენ-ციაზე განაცხადა, მან კირვალიძეს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმარ-თულებით პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოზიციის დაკავება შესთავაზა და არ არის გამორიცხული, მან ამ მიმართულებით მთავრობასთან ითანამშრომლოს.

– დავით კირვალიძე არის ძალიან მაღალი რანგის პროფესიონალი. მე, რა თქმა უნდა, მქონდა მასთან საუბარი მინისტოთა კაბინეტში მისი შესაძლო დაბრუნეპის თაობაზე.

ბაგონ ავითს საკმაოდ მნიშვნ ლოვანი საერთაშორისო პოზიცია უკავია. მას აქვს კონკრეტული მიმართულებები ჩაბარებული

და ამ მიმართულებებიდან მისი გამოსვლა დღეს რთულია. რაც შეეხება ჩვენს მომავალ თანამშრომლობას, მას შევთავაზე დაეკავებინა სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოზიცია და არ არის გამორიცხული, რომ მან ამ მიმართულებით მთავრობას გარკვეული თანამშრომლობა

გაუწიოს. დავითი არის კარგი ადამიანი და გვექნება მასთან პარტნიორობა ამა თუ იმ ფორმით მაგრამ დღეს, მისი მთავრობაში შემოსვლა, მისი დღევანდელი ამოცანებიდან გამომდინარე, არ არის შესაძლებელი, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

3NM43N J3NANJJ33NCN: "J39-3N JCRJ6 6J3NO 9J74J9N6 ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲨᲔᲘᲠᲩᲐ"

– ამერიკაში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე დავით ბაქრაძის კანდიდატურა პრეზიდენტთან კონსულტაციების გზით შეირჩა.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 56-ე სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, ყველა შეთანხმდა, რომ დავით ბაქრაძეს გააჩნია ყველა ის საჭირო თვისება, რაც მნიშვნელოვან წარმატებებს მოუტანს ქვეყანას. კვირიკაშვილმა ყოფილ ელჩს არჩილ გეგეში-

ძეს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხა-

— მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მად-ლობა გადავუხადო არჩილ გეგეშიძეს. მან ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია. მისი ელჩობის პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა საქართ ლოს პარტნიორობა აშშ-სთან.

მინდა ვუსურვო წარმატება მომავალ საქმიანობაში. დავითს ვუსურვებ დიდ წარმატებებს, ის ძალიან მნიშვნელოვან დროს და მომენტში დაიკავებს ამ უმნიშვნელოვანეს პოსტს, მას გააჩნია გა მოცდილება როგორც ელჩად მუშაობის, მათ შორის ნატო-ს წევრ ქვეყნებში, ასევე ახლა უკვე ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. მისი პიროვნული თვისებები იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ხალხთაშორის ურთიერთობების გამყარე-



ბის კუთხით და მინდა მოგილოცოთ ბატონო დავით, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა

მთავრობის მეთაურის განმარტებით, აშშ-ში საქართველოს ელჩად დავით ბაქრაძის დანიშვნის პროცედურები მალევე დაიწყება და ის არჩევნების შემდეგ უახლოეს მომავალში შეუდგება აღნიშნულ პოსტზე მუშაობას.

ინტერპრესნიუსი

abaen mamba

გაზეთი გამოდის 1993 წლის

23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი ტთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი **რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

*ჭონსულტანტებ*ი ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავამე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუპინაშვილის ქ. N $\!$ 50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



(2)

ნონა ცაბაძე

ბოლო პეჩიოდში განვითაჩებუდ პოლიტიკუჩ პჩოცესებს "ახად თაობასთან" ინტეჩვიუში ექსპეჩტი ჩამაზ საყვაჩელიძე აფასებს.

– პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე წარმოადგინეს საბოლოო სიები. მმართველმა პარტიამ განახლებული ათეული წარმოადგინა, ბევრმა ძველმა სახემ უკანა პლანზე გადაინაცვლა. როგორია თქვენი შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?

— ბევრი პარტია ლაპარაკობდა იმაზე, რომ განაახლებდა პარტიის რიგებს, ყველაზე ხშირად ეს ნაციონალებისგან გვესმოდა. ეს განახლებისკენ მისწრაფება იმას ნიშნავს, რომ პარტიული აქტივობა განახლდება, კონცეფცია განახლდება, საბოლოოდ კი სიაში მივიღეთ ეს სურათი. ძველების დიდი ნაწილი ან უფრო დაბლაა სიაში, ან წასულია მაჟორიტარებად და დატოვებულია საკუთარი თავის იმედზე.

— ანუ?
— თუ მოიგებენ, ხომ კარგი და იქნებიან პარლამენტში და თუ წააგე-ბენ, დარჩებიან პარლამენტს გარეთ. "ოცნებამ" თამამი ნაბიჯი გადადგა და არ გააერთიანა საარჩევნო სია და მაჟორიტარების სია.

– და ეს პროგრესია?

– ძალიან კარგია. რაც შეეხება ახალ სახეებს, ახალი სახე იმიტომაა ახალი, რომ ის ახალია და საინტერესოა. ვნახოთ, გაიშლება პოლიტიკური ველი, პოლიტიკური აქტიურობა და ყველაფერი გამოჩნდება. თუმცა იმ ახალ სახეებშიც არიან ადამიანები, რომლებიც უკვე გააქტიურდნენ, არიან ისეთები, რომლებსაც აქტიურობა არც ადრე აკლდათ. მაგალითად, ჩუგოშვილი.

– რატომ გააკეთა "ოცნებამ" არჩევანი ახალ სახეებზე?

— როდესაც პარტიას უჭირს, მას ურჩევნია, ახალი სახეები დაასახელოს, ვიდრე ძველები. ეტყობა, რეიტინგული გასაჭირი იგრძნო, რაც ჩანს კიდეც რეიტინგებში და ამიტომ გადაწყვიტა განახლება. რაკი გაბედა განახლება, ესაა მისი პლუსი, თორემ ის რომ განახლება სჭირდებოდათ, ეს უდაფთა. თან ამ სახის განახლება, რომ ან სიაში იქნები, ან მაჟორიტარად და არა — ორივეში ერთად, ესეც იმ სიახლედ მიმაჩნია, რომლის დაფასებაც ლირს.

– ანუ მაჟორიტარებს თავის თავის იმედი უნდა ჰქონდეთ და არა პარტიის?

 — დიახ, ისინი უნდა გავიდნენ საკუთარი თავის იმედად და არა პარტიული ავტორიტეტის ხარჯზე.

— რამდენად მოიმატებს "ქართული ოცნების" რეიტინგი? ბოლო კვლევებით, "ოცნება" 30%-ს ვერ სცდება, ასე დარჩება არჩევნებამდე თუ შეიცვლება რამე?

– თუ არ მოიმატებს, დაკლებით არ დაიკლებს.

– მოიმატებს ვითომ?

— საარჩევნო კამპანია, დებატები და ასე შემდეგ მუშაობს ყველა პარტიაზე და თუ დააკვირდებით, ყველა პარტიის რეიტინგი იმატებს, ერთის გარდა.



– ვინ არის ეს ერთი?

— ნაციონალური მოძრაობა, რადგან მასთან პოლიტიკური პრეტენ-ზია არ აქვს საზოგადოებას. მათი მხარდაჭერა დაახლოებით 20%-მდე აღნევს, მაგრამ საზოგადოების დანარჩენ ნაწილში პრეტენზია აქვთ იმის გამო, რაც გოგა ხაინდრავამ გადაილო ფილ-

მათი მოღვაწეობის 9 წელზე?
9 წელს მომხდარ დარღვევებზე. ძალადობაზე და არა იმაზე, მისი

პოლიტიკა მოგვწონს ან არ მოგვწონს,

ამიტომ პოლიტიკური პიარი ამ პარტიის რეიტინგს არაფერს არც მატებს, არც აკლებს. იმიტომ, რომ პოლიტიკაში არ არის ამ პარტიის პრობლემა. ეს შესანიშნავად იგრძნო ბევრმა, მათ შორის სანდრა რულოვსმა, რომელმაც უპრეცედენტო ფრაზა წარმოთქვა იმის თაობაზე, რომ არ ვიძალადებთო.

– ეს არის მათი დაპირება?

– დიახ, იციან, რომ ძალადობაშია პრობლემა. ძალადობას, რამდენიც
არ უნდა იფიცო, აღარ ვიძალადებო,
ხალხი არ გაპატიებს. თუ ერთ დროს
იყავი მოძალადე, ყოველთვის გიყურებენ, როგორც მოძალადეს. ხალხი არ
შეიცვლის პოზიციას ამ მხრივ.

ვის ეთიკასაც არ ანუხებს ის ფაქტი, რომ ნაციონალური მოძრაობა არის თუ არა მოძალადე, ის 20% იქნება მათი მხარდამჭერი ქართველი საზოგადოებიდან. ამიტომ ზრდის პოტენციალი ყველას აქვს, გარდა ნაციონალური მოძრაობისა.

– ყველა პარტიას ჰყავს ქალები პირველ ათეულში, გარდა ბურჭულა-ძისა. საუბარია, რომ ხათუნა ლაგაზიძებაც სწორედ ამ ნიადაგზე განაწყენებულმა დატოვა ბურჭულაძის პარტია. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ბლოკის სიის შედგენას თავის წესები აქვს. ჯერ პირველი ნომრები მიდიან ბლოკში შემავალი პარტიების, მერე მეორე ნომრები, მერე — მესამე და ასე შემდეგ. აქ ყველანაირი წესი დარღვეულია, რამაც იმოქმედა ხათუნა ლაგაზიძეზე. ეს ბლოკი, საერთოდ, დარღვეული ბლოკია, გაუგებარი ბლოკია. იქ რეგისტრაცია გაიარეს, გირჩმა არ გაიარა. გირჩის პირველი პირი ათეულის ფარგლებს იქითაა. ისე, რომ აქ წესებმორღვეულ პარტიასთან გვაქვს

საქმე

– ნაციონალების პირველ ათეულზე რას იტყვით?

— ნაციონალებმა, ისევე, როგორც "ოცნებამ", სცადეს, რომ ახალი სახეები შეეყვანათ, თუმცა ნაკლები სიახლეა. მით უმეტეს, როცა სანდრა რულოვსს შეიყვან მეორე ნომრად, რომელიც ხმებს მოიტანს, მაგრამ პარტიაში სიახლეს არ შეიტანს. ის პოლიტიკური ფიგურა არ იყო. დიდი-დიდი თავისი ქმრის პოლიტიკის გამტარებელი იქნება და ეს განახლებად შეიძლება ჩაითვალოს თუ არა, არ ვიცი. ასევე დათო ბაქრაძეც არ ყოფილა გადაწყვეტილების მიმღები პირი, თუკი მის მოღვაწეობას გავიხსენებთ.

ასეთი გადაწყვეტილების მიმღები პირების დეფიციტი რადგან არის ნაციონალების სიაში, ესე იგი გადაწყვეტილებას მიიღებს ძველი გუნდი, რომელიც ამჟამად არ ჩანს.

– ანუ ახალი, პოლიტიკურად უფრო სიმპათიური სახეების უკან ძველი სახეები იმალება?

— დიახ. ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას ეს ყოველთვის თან ახლდა. იყო ეს სტილი და შეინარჩუნეს. წინ წამოწეულია რულოვსი, რომელიც რეალურად აღარც არის შირმა, რულოვსი იგივე სააკაშვილია.

– რამდენად უნდა ჰქონდეთ წარმატების იმედი?

- ნაციონალებს თავიანთი 20%ზე მეტის იმედი ალბათ არ უნდა ჰქონდეთ. თუმცა თუ საზოგადოება პასიური იქნა და არ მივიდა არჩევნებზე,
მათი 20% გადაიქცევა დაახლოებით
40 მანდატად და მივიღებთ იგივე
სურათს, რაც წინა მოწვევის პარლამენტში იყო.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲒᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲐᲦ ᲘᲚᲘᲐ ᲔᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲐᲦ ᲙᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲜ

ენერგეტიკის მინისტრად ილია ელოშვილი, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრად ლევან დავითაშვილი დაინიშნა.

მთავრობის ახალი წევრები საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა წარუდგინა.

—სოფლის მეურნეობის და ენერგეტიკის მინისტრის პოსტებს ჩაიბარებენ ლევან დავითაშვილი და ილია ელოშვილი. მათ საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. ისინი დღემდე მინისნებული ვარ, ისინი წარმატებით გაართმევენ თავს ამ ამოცანებს, – განაცხადა კვირიკაშვილმა ახალი მინისტრების წარდგენაზე.

სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის მინისტრებმა არჩევნებში მონაწილეობის გამო თანამდებობები და-

კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა,



ტრის მოადგილის პოსტებზე მუშაობდნენ.

მოხარული ვარ, რომ პროფესიონალ და ღირსეულ ადამიანებს წარვადგენ ამ ორ ძალიან მნიშვნელოვან პოსტზე. მინდა ვუსურვო მათ წარმატებები და ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მინისტრებს, რომლებიც დღეს ჩაერთნენ საარჩევნო პროცესში.

ორივე მათგანს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა და დარწმუდაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და გათავისუფლდნენ პირები, რომელთა თანამდებობებიც დეპუტატობის კანდიდატობასთან შეუთავსებელია. ერთ-ერთი ასეთი თანამდებობა მინისტრის თანამდებობაა.

კახა კალაძე პარტია "ქართული ოცნების" საარჩევნო სიის მეორე ნომერია, ოთარ დანელია კი მარტვილისა და აბაშის გაერთიანებული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატია.

ინტერპრესნიუსი

თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე აქტიური სეზონი დაიწყო.

სპეციალისტთა თქმით, მოთხოვნა გასულ თვეებთან შედარებით, განსაკუთრებით ბინების დაქირავებაზეა გაზრდილი. რაც შეეხება ფასებს, ღირებულება გასული წლის ანალოგიური პერიოდის იდენტურია და თვალშისაცემი კლება ან მატება არ ფიქსიროება.

უძრავი ქონების სააგენტო კიბე.გე-ს დამფუძნებელი ნელი გოგუაძე "ბიზნესპრესნიუსთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ არჩევანი ძალიან დიდია მაღალფასიან ბინებზე, თუმცა მათი გაქირავება რთულია. მისივე ინფორმაციით, 200 დოლარამდე ღირებულების ბინებზე მოთხოვნა მაღალია, არჩევანი კი ნაკლები.

— არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, მოსახლეობა ბინებს ძირითადად
200 დოლარის ფარგლებში ეძებს, მაგრამ ნორმალური, იზოლირებული ბინები ამ ეტაპზე ცენტრალურ უბნებში
300 დოლარზე ნაკლებად არ ქირავდება. ამ ფასად ნუცუბიძის პლატოზე
შესაძლოა, ოროთახიანის დაქირავება,
თუმცა პეკინზე ერთოთახიანის პოვნაც
კი არაა მარტივი, — აღნიშნავს ნელი
გოგუაძე.

მისივე თქმით, დაბალი ფასის გამო, ბინები გარეუბნებშიც გაცილებით სწრაფად ქირავდება და მომხმარებელს დასაქირავებელი ბინის პოვნა უკვე გარეუბნებშიც უჭირს.

სტუდენტობა გამოჩნდა, მაგრამ სააგენტოში ისეთი მოთხოვნა აღარაა, როგორც ადრე იყო. გასულ წლებში სექტემბერში ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ბინის მოძებნას ვერ ავუდიოდით, ახლა ასე ნამდვილად



აღარაა. ვფიქრობ, ამის მიზეზი არის ის, რომ შედარებით იაფფასიანი ბინების გაქირავებას მოსახლეობა სა-აგენტოს გარეშე, თავადაც ახერხებს. ცენტრში 200-250 დოლარიან ბინებზე ისეთი მოთხოვნაა, რომ სანაცნობო წრეშიც ადვილად შეუძლია მსურველს მომხმარებლის პოვნა, — აღნიშნავს ნელი გოგუაძე.

რაც შეეხება დაგირავებას, ნელი გოგუაძე ამბობს, რომ ამ კუთხით მოთხოვნა ყოველთვის არის, თუმცა გასული წლისგან განსხვავებით, არჩევანი წელს ნაკლებია.

უძრავი ქონების საიტის საქმე.გე-ს განვითარების მთავარი მენეჯერი ნიკა ჯაფარიძე "ბიზნესპრესნიუსთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ ყოველდღიურად საიტს 1000-დან 2000-მდე განცხადება ემატება.

– განცხადებათა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ყველა რუბრიკაში არის მატება, თუმცა წამყვანი მაინც გაქირავებაა.

ამ ეტაპზე 30 ათასი აქტიური განცხადება გვაქვს საიტზე. მომხმარე-ბელმა აქტიურობა სამი-ოთხი დღის წინ დაიწყო. საიტის დამთვალიერე-ბელთა რაოდენობამ ბოლო დღეებში 19%-ით აიწია, რაც მეტყველებს იმა-ზე, რომ უძრავი ქონების ბაზარი მიმდინარე თვეში განსაკუთრებით აქტიურია.

სტუდენტები ჩამოდიან, თადარიგს იჭერენ. მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა დაახლოებით ორ თვეს, ოქტომბრის ბოლომდე გასტანს", აღნიშნავს ნიკა ჯაფარიძე.

მისივე ინფორმაციით, ყველაზე მოთხოვნადი უბანი, როგორც ყოველთვის, საბურთალოა, სადაც ამ
ეტაპზე ერთოთახიანი იზოლირებული ბინის ფასები 250-300 დოლარიდან იწყება. რაც შეეხება გარეუბნებს,
იქ დასაქირავებელი ბინების ღირებულება მინიმუმ 50 დოლარით ნაკლებია.

ინტერპრესნიუსი

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ 15 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭიანეთიდან გაუჩინარებული 15 წლის გოგონა სამართალდამცველებმა თბილისში იპოვეს. აღნიშნული ინფორმაცია "ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. უწყების ინფორმაციით, გოგონა თავს კარგად გრძნობს და პოლიციას ის ოზურგეთში, საკუთარ სახლში გადაჰყავს.

ოჯახის წევრებმა გოგონას გაუჩინარების შესახებ სამართალდამცველებს რამდენიმე დღის წინ მიმართეს. ინტერპრესნიუსი



ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲟᲘ

კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაუს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

555-02-32-08. ქალგატონი ფიქრია



მარიამ მჭედლიშვილი

პოტიტიკუხი პახტიების ნინასაახჩევნო ინიციატივებს ამ ჹღეებში **ხესპუბ**ღიკეღები გამოვიღნენ წინაღაღებით საქაჩთველს ტეჩიტოჩიაზე ამეხიკის შეეხთებუტი შ_საცების სამხეჹhm ბაზების განღაგების შესახებ. ამას მოჰყვა ამეჩიკის ეღჩის ღაკონიუჩი <u>კ</u>ომენ<u>კ</u>ახი იმის თაობაზე, hmმ საქაhთველო და აშშ ისეჹაც თანამშხომღობენ თავჹაცვის სფეხოში, მოქმეჹებს ნატოს <u>ცე</u>ნცხი.

იდეაში ეს ინიციატივა მოიწონეს პროდასავლური კურსის მიმდევ-რებმა, მაგრამ ბევრმა აღნიშნა, რომ ეს

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **ᲐᲨᲨ–ᲘᲡ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ?**

როგორ აფასებს უცხოური პრესა აშშ-რუსეთის ურთიერთობებს



არარეალიზებადია და ჯობია, საქართველომ ნატოსკენ სვლა გააგრძელოს იმ პირობებში, როცა ეს ურთიერთობა ღრმავდება, ნატოს გენერალური მდივანი კი ამ დღეებშიც იმყოფებოდა საქართველოში.

სხვებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ აშშ-ის ბაზების განლაგება იმ ქვეყანაში, სადაც ოკუპანტი რუსეთის სამხედრო ბაზებია, პირდაპირ ომის გაჩაღებას ნიშნავს.

მასშტაბურ ომს დიდი სახელმწიფოები ასე ადვილად არ დაიწყებენ. ამაზე საუბრობენ დასავლელი ანალიტიკოსები.

ბრიტანული გარდიანის შეფასებით, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობა-მა ის ლიდერია, რომელიც არ მისდევს ვაშინგტონში ბოლო დროს გაბატონებულ მოდას რუსეთთან კონფლიქტის გაღვივების საკითხში.

გარდიანის თქმით, ობამა არ ეწერება ცივი ომის საყოველთაო ისტერიის ატმოსფეროში.

ამ კამპანიაში, მისი სიტყვებით, ჩაბმულია ჰილარი კლინტონი. მან წინა კვირას განაცხადა, რომ აშშ-მ უნდა დაიწყოს პასუხების მომზადება სამხედრო საშუალებებით რუსეთის მხრიდან სავარაუდო კიბერშეტევაზე. საუბარია ამერიკის დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის საფოსტო სერვერზე განხორციელებულ შეტევაზე, რაშიც არ გამორიცხავენ რუსეთის ხელს.

გარდიანის სიტყვებით, რუსეთ აშშ-ის ურთიერთობებს ამერიკის რესპუბლიკური პარტიაც ამწვავებს. ამაში დონალდ ტრამპიც მონაწილეობს. კერძოდ, პრაიმერიზის დროს გაიჟღერა บกค์กงปีก งคังงบงตุศาธิก ชิคธิกับ ปีกูปู่ปี้ธิกบ იდეამ. ეს ნიშნავდა მზადყოფნას ამ რეგიონში მყოფი რუსეთის თვითმფრი-ნავების ჩამოსაგდებად ანუ გზას ომი-

გაზეთი ამახვილებს ყურადღებას იმაზეც, რომ დემოკრატები მოითხოვენ გამოძიების ფედერალური ბიუ-როსგან ტრამპის საარჩევნო შტაბის კავშირების გამოკვლევას რუსეთთან.

ამის პარალელურად მედია ცდილობს, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი მსოფლიოს მოვლენებში გროსმაისტერად წარმოაჩინოს

გარდიანის თქმით, ობამა ცდილობს, რუსეთს სირიის თაობაზე შეუთანხმდეს. აშშ-ის პრეზიდენტის გამონათქვამებს უკვე მოჰყვა შედეგი – რუ-სეთი მიხვდა, რომ მისი ავიადარტყმები სირიაში ფუჭია.

თურქული მედიის შეფასებით, აქამდე დასავლეთი ერთიანი იყო და ერთსულოვნად იგერიებდა დარტყმებს, რომელთაც რუსეთი ცივი ომის დასრულების შემდეგ მიმართავდა. ამაში დასავლეთს ხელს უწყობდა რუსეთის პოზიცია საქართველოს, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების მიმართ. ახლა დასავლეთის ერთიანობა ირღვევა. გერმანია და საფრანგეთი შეშფოთებული არიან ხისტი პოლიტიკით რუსეთის მიმართ. გერმანიის საგარეო მინისტრი შტაინმაიერი აცხადებს, რომ ევ-როპის უსაფრთხოებაზე რუსეთთან ერთად უნდა იზრუნონ.

მსოფლიოში შექმნილი ძალიან რთული სიტუაციის ფონზე სახელმწიფოები ერიდებიან მკვეთრი გადაწყვეტილებების მიღებას. ქართველი პოლიტიკოსების ინიციატივები ქვეყნის უბლოკო სტატუსის ან ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ ამ დაძაბულ ატმოსფეროში სარისკოდ და უადგილოდ გამოიყურება.


บริสิริศตร์ตา

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ **Კ**ᲝᲠᲞᲣᲡᲘᲦᲐᲜ **ᲒᲐᲦᲛᲝᲕᲐᲠᲦᲜᲘᲡ ᲨᲔᲦᲔᲒᲐᲦ**

ქუთაისში დავით აღმაშენებლის შვიდ ნომერში მდებარე მშენებარე კორპუსიდან მუშა ჩამოვარდა. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, გად-მოვარდნის შედეგად 43 წლამდე მამაკაცი ადგილზევე

მშენებლობაზე სამუშაო პროცესი შეჩერებუ-

მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოც-ხლის მოსპობას გულისხმობს.



მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 116-ე

ინტერპრესნიუსი

ᲧᲐᲖᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

საბაჟო გამშვებ პუნქტში "ყაზბეგი" არადეკლარირებული სასმელები აღმოაჩინეს. რო-გორც "ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 6 სექტემბერს საბაჟო გამ-შვებ პუნქტში "ყაზბეგი", მებაჟე ოფიცრებმა, რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოსული მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერების შედეგად, არადეკლარი-რებული ალკოჰოლური სასმელები: არაყი (20.4 ლიტრი) და კონიაკი (11,5 ლიტრი) აღმოაჩინეს. მათივე ცნობით, საქმე შემდგომი რეაგი-

რების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამი-ნისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა. ინტერპრესნიუსი



ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ **ᲒᲠᲐᲚᲦᲔᲑᲣᲚᲡ ᲞᲐ**ᲒᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲐ



სასამართლომ ბრალდებულ ვაჟა ხოზრევანიძეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც "ინტერპრესნიუსს" პროკურატურიდან აცნობეს, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ვაჟა ხოზრევანიძე დამნაშავედ ცნო ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობაში სისხლის სა-მართლის კოდექსის 111-19-108-ე მუხლით.

– სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურვლეული ადგიცებულებებით დაგ-ი-იე და, რომ 2016 წლის 31 მარტს, დაახლოებით 08:00 საათზე, ქ. ბათუმში მდებარე საცხოვ-რებელ სახლში ვაჟა ხოზრევანიძეს ყოფილ მეუღლესთან მ.ფ-სთან საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა, რა დროსაც ვაჟა ხოზრევანიძემ მოკვლის მიზნით, ნაჯახით მ. ფ.-ს თავის, ზურ-

გისა და ხელის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. ვაჟა ხოზრევანიძემ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო, რადგან ფაქტის შემსწრე პირებმა მას წინააღმდეგობა გაუწიეს.

სამართალდამცველებმა ვაჟა ხოზრევანიძე იმავე დღეს შემთხვევის ადგილზე დააკავეს. ხელვაჩაურის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-19-108-ე მუხლით წარუდგინა.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ვაჟა ხოზრევანიძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგე-ნილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით", – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

ᲡᲐᲑᲐᲥᲝᲖᲔ ᲤᲡᲘᲥᲝᲒᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲦᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ



_საბაჟო გამშვებ პუნქტებში "გუგუთი" და "ვალე" ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს. როგორც "ინტერპრესნიუსს" შემოსავლე-

ბის სამსახურიდან აცნობეს, 6 სექტემბერს საბაჟო გამშვებ პუნქტებში "გუგუთი" და "ვალე" მებაჟე უფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, 3 კაფსულა ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი, ხოლო 51აბი ნარკოტიკული ნივთი-ერების შემცველი მედიკამენტი აღმოაჩინეს.

მათივე ცნობით, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაე-

ინტერპრესნიუსი

ᲡᲐᲦᲐᲮᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ ᲐᲠᲐᲦᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ **Պ**ՀՃՈ ՀՐՅՈՒՆՈՐԵՐ

საბაჟო გამშვებ პუნქტებში "სადახლო-საავტო-მობილო" და "ყაზბეგი" "არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში "სადახლო-საავტომობილო" და "ყაზბეგი" მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. კერძოდ, "სადახლო-საავტომობილო"-ს კონტროლის ზონაში აღმოჩენილი არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების საერთო საბაჟო ღირებულებამ 11,921,15 ლარი შეადგინა (წონა 28,39 გრამი).

მათივე ინფორმაციით, ანალოგიური სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა საბაჟო გამშვებ პუნქტში "ყაზბეგი", სადაც არადეკლარირებული ოქ-



როს ნაკეთობების საერთო საბაჟო ღირებულებამ 10,212 ლარი შეადგინა (წონა 174,87 გრამი).
საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, ორივე მოქალაქეს სანქციის
სახით, ფულადი ჯარიმა, პირველ შემთხვევაში – 11,921,5 ლარის, ხოლო მეორე შემთხვევაში – 10,212

ლარის ოდენობით შეეფარდა.

ინტერპრესნიუსი

ᲧᲐᲚᲑᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲦᲘᲒᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲒᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყალბი საკრედიტო ბარათების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე მოქალაქეები – გოგიტა უბილავა და ნუკრი პერტახია

- როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები სისტემატურად ამზადებდნენ ყალბ პლასტიკურ ბარათებს, რომლებ-



ზედაც სპეციალური მოწყობილობის საშუალებით, ჰაკერული გზით გადმოჰ-ქონდათ უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთვნილი პლასტიკური ბარათების მო-ნაცემები და შემდგომში იყენებდნენ თბილისში არსებულ მაღაზიებსა და სავაჭ-რო ცენტრებში სხვადასხვა ნივთების შესაძენად. შეძენილი პროდუქციის რეალიზაციის გზით კი იღებდნენ ფინანსურ სარგებელს.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესნიუსი



ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲛᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲩᲐᲛᲘᲓᲝ



– პოლიციელმა თავში ძლიერად დამარტყა, რის გამოც ინერციით გადავწექი მეორე სავარძლისკენ და ამ დროს ვიგრძენი, რომ მაისურს მიღმა იარაღი ჩამიდეს.

ამის შესახებ ორი დღის წინ დაკავებულმა სპორტსმენმა მინდია ოჯახიშვილმა ხელვაჩაუ-ทึกป บรบรอิงที่อยู่ที่ป บริยุที่สิกป อุที่ที่ปรอิงที่თლეს განუცხადა.

მისი თქმით, პოლიციას არ განუმარტავს, რისთვის აკავებდნენ. ოჯახიშვილი სამართალ-დამცველებს ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც ადანაშაულებს.

— პატრულის ეკიპაჟმა გამაჩერა, შემდეგ კი ორი პოლიციელი მოვიდა, ერთმა კარი გამოაღო და მითხრა — ჩაჯდა მანქანაში და ხელები დააწყე

15 წუთში მოვიდა პოლიციის რამდენიმე მანქანა და ბევრი პოლიციელი. ჩემს მანქანასთან მოვიდა ერთ-ერთი, გამოაღო ჩემი მხრიდან კარი და ძლიერად დამარტყა თავში, რის გამოც ინერციით გადავწექი მეორე სავარძლისკენ. ამ დროს ลูกลูต์ปฏิธีก, ตัวที่ ปิงกับๆตั้น ปิกตุปิง ตังกับกับ ปฏิติงตุก

ვიყვირე, ბიჭო, რას მიკეთებთ. ამ დროს ერთმა კისერზე მომქაჩა, ერთმა ფეხზე, მანქანიდან გადათრევის დროს თავი მიმარტყმევინეს, რის გამოც წამიერად გონებაც დავკარგე, ჩავვარდი ძირს, ვყვიროდი, იარაღს რატომ მიდებთ. ამ დროს მოხდა ფიზიკური შეურაცხყოფა, ჰაერში ამწიეს, როგორც მიცვალებულს ასწევენ, ისე ვყავდი რვა პოლიციელს ჰაერში ატაცებული. ვყვიროდი, გარშემო მყოფ ხალხს ვეუბნებოდი,

რომ იარაღს მიდებდნენ და დამხმარებოდნენ, – აღნიშნა მინდია ოჯახიშვილმა.

სასამართლო პროცესზე ასევე ცნობილი გახდა, რომ ოჯახიშვილს ბრალი დაუმძიმდა და ნარკოტიკული ნივთიერების შენახვასა და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევასაც ედავებიან, რასაც მინდია ოჯახიშვილი უარ-

პროკურორმა დავით ხარძეიშვილმა მი-องตรุกษ บงซึกซีศตกูจักษ จัศษกูจักจักษ จังอิต, ครูงชกซีვილის პატიმრობაში დატოვება მოითხოვა.

ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ კი შუამ-დგომლობა დააყენა და 20 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ მინდია ოჯახიშვილის გათავისუფლება მოითხოვა.

ინტერპრესნიუსი

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲚᲐᲒᲐᲖᲘᲫᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

– პაატა ბურჭულაძემ გაყიდა საკუთარი პარტია თავისი სტრუქტურებით, ადამიანებით და იმ იდეებით, რის გამოც ჩვენ ერთად ვაშენებდით პარტიას და მანამდე ფონდს. ამის შესახებ მოძრაობა "პაატა

ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის" უკვე ყოფილმა წევრმა, ხათუნა ლაგაზიძემ პარტიის დატოვების საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, პაატა ბურჭულა-ძემ "გირჩთან" შეერთების გადაწყვეტილება მიიღო არა იმიტომ, რომ გადაერჩინა პარტია, როგორც ამას ამტკიცებდა, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

– ამის დასტური გახლავთ საარჩევნო სია, სადაც პაატა ბურჭუ-ლაძის პარტიის ნარჩენებიდან მხოლოდ სამი ადამიანია წარმოდგენილი. დანარჩენი სია დაკომპლექტებულია გამყიდველი ნაციონალების-გან და კრიმინალების მიერ განხორციელებული ზენოლით...

მე როცა მივედი პაატა ბურჭუძე როცა ძივედი ძაატა ბურჭულაძესთან, მივილე გარანტია, რომ ეს არ იყო ნაციონალური ფული, არც რუსული და არც კრიმინალური ფული, მაგრამ პაატა ბურჭულაძის სიტყვები, ისევე, როგორც გარანტიები, რომ ცარიელი წყალი გამოჩნდა, ამას აღასტურებს მისი დამოკიდებულება პარტიის ქმანტი დომილია უმარტიის პარტიის მიმართ, რომელიც უმარტი-ვესად გაყიდა, — აღნიშნა ლაგაზიძემ "იმედთან" საუბარში.

ამასთან, ლაგაზიძის თქმით, "მათი მხრიდან" ემუქრება სერიოზული საფრთხე, რის გამოც სახელმწიფოს მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვას სთხოვს.

– მე და ჩემი ოჯახის წევრებს მათი მხრიდან გვემუქრება სერიოზუ-ლი საფრთხე, ამიტომ მივმართავ სამართალდამცველებს, რომ უზრუნველყონ მინიმუმ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფ-



რთხოება, – განაცხადა ლაგაზიძემ. ხათუნა ლაგაზიძე მერაბ მეტრეველის შემდეგ მეორეა, რომელმაც ყოფილ ნაციონალებთან გაერთიანების მიზეზით ბურჭულაძის პარტია დატო-

ინტერპრესნიუსი

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ

ნაციონალური მოძრაობის და საპარლამენტო უმცირესობის რამდენიმე ცნობილი წარმომადგენელი არჩევნებში მონაწილეობას აღარ იღებს.

ნაციონალურ მოძრაობას 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის არც მაჟორიტარულ ოლქებში წარუდგენია და არც საარჩევნო სიაში შეუყვანია მათი რამდენიმე ცნობილი სახე, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედი პარლამენტის წევრია.

ესენი არიან: გოკა გაბაშვილი, გივი თარგამაძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, აკაკი მინაშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, მარიამ საჯაია, კობა სუბელიანი, გიორგი კარბელაშვილი, პაატა ლეჟავა, შოთა მალაშხია.

้ ნაციონალურმა მოძრაობამ ცესკოს 200 კაცისგან შემდგარი პროპორცი-

ული საარჩევნო სია წარუდგინა.

ინტერპრესნიუსი



ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ ცეᲡᲙᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ **ᲠᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ**



ჯერ გამცენ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან პასუხი და შემდეგ ყველაფერს ფარდა აეხდება, – ამის შესახებ პარტია "თოფაძე მრეწველები, ჩვენი სამშობლოს" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ ჟურნალისტებს

ზურაბ ტყემალაძე 9 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას შეხ-

მისი თქმით, პარტია "თოფაძე მრეწველები, ჩვენი სამშობლოს" რეგისტრაციიდან მოხსნით ვიღაც არის დაინტერესებული.

– ისეთი ინფორმაცია მოვისმინე, ვინ ურეკავს და რატომ კითხულობენ ჩვენი პარტიის შესახებ მოხსნაარმოხსნას, ჯერ გამცენ პასუხი და ყველაფერს ფარდა აეხდება, – განაცხადა ტყემალაძემ.

ტყემალაძის თქმით, კომპიუტერული ხარვეზი იყო სიის ამობეჭდვის დროს.

– კომპიუტერული ხარვეზი იყო სიის ამობეჭდვის დროს, რომელიც უნდა შეგვეცვალა და შევცვალეთ კიდეც. ცესი 8 სექტემბერს, 17.24 საათზე დაიწყო და 18.12 საათზე დასრულდა, რასაც თვლიან ხარვეზად. ჩვენ გვაქვს დოკუ-მენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აბსოლუტურად ყველაფერი ჩავაბარეთ. დღეს განცხადება ჩავაბარე, რომ თამარ ჟვანიამ მოკვლევა ჩაატაროს და გაგვცეს პასუხი. ეს არის თავმჯდომარის პრეროგატივა, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

მისივე თქმით, თუ პასუხი უარყოფითი იქნება, პარტიის წევრები სასამართლოს მიმართავენ.

თუ პასუხი უარყოფითი იქნება, ჩვენ წავალთ სასამართლოში. არ მინდა, დღევანდელი საარჩევნო სასამართლოში. არ მინდა, დღევანდელი საარჩევნო კომისია დაემსგავსოს 2000-იანი წლების კომისიას, განაცხადა ტყემალაძემ.

შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა პარტიის ერთერთი ლიდერი ზვიად ჩიტიშვილიც.

ზვიად ჩიტიშვილმა საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

— ეს არის ბრძოლა ქართველებს, ამერიკელებსა და თურქებს შორის. იმათ აზრს უფრო უსმენენ აქ, ვიდრე ქართველებისას. ეს ადამიანები ხელს გვიშლიან აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან შერიგებაში, – განაცხადა ზვიად ჩიტიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ: "ᲜᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲨᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲜᲝᲚᲐ-ᲛᲣᲥᲐᲠᲘᲡ



განიზაციის წინასაარჩევნო მესამე შუა-ლედურ ანგარიშში, რომლის პრეზენტა-

ციაც 9 სექტემბერს გაიმართა.

— გარკვეული სახის დარღვევებმა მოიმატა, მათ შორის ზეწოლა-მუქარის ფაქტებში ვხედავთ ზრდას. გარდა ამისა, არის კამპანიის ხელშეშლისა და ოფისების დაზიანების ფაქტები.

ზენოლა-მუქარის ფაქტებში მნიშვნელოვანია, რომ არის რიგი შემთხვევები, რომლებიც სამართალდამცავი უწყებების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ნიშნებს შეიცავს, – აღნიშნა "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა მიხეილ

თავის მხრივ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტმა ნინო ნიჟამაძემ თავის მხოივ, ოოგოოც აოასამთავოობო ოოგანი ბაციის იუოისტმა ნინო ნიჟამამემ განაცხადა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევისას ადგილი ჰქონდა დარღვევებს.
— გარკვეულ შემთხვევებში ჩვენს დამკვირვებლებს ჰქონდათ ინფორმაცია და ფაქტებიც, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ჰქონდათ, სავარაუდოდ, წინასწარი სიები და იმ პირების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა აერჩიათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად. შევისწავლეთ დადგენილება, რომელიც ეხება საარჩევნო სუბიექტებისთვის ნომრის მინიჭების საკითხს და მიგვაჩნია, რომ სხვა საარჩევნო სუბიექტები აღმოჩნდნენ დისკრიმინირებულნი, — განაცხადა ნინო ნიჟამაძემ.

მედიანიუსი

ᲒᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲘᲒᲐ ᲝᲗᲮᲝᲖᲝᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲣᲙᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲡ



გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში გამართული ხუთმხრივი შეხვედრა დასრულ-

შეხვედრაზე 19 მაისს ხურჩაში გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საკითხზე, დრანდის ციხეში მყოფი პატიმრის გიორგი ლუკავას გა-თავისუფლებასა და 2012 წელს ზაგა ნულუკიას უგზო-უკვლოდ გაუჩინარების თემაზე იმსჯელეს.

– ლუკავას საკმაოდ მძიმე ბრალდებებს ედავებიან. სახელმწიფოს პოზიცია არის ძალიან ხისტი ამ

კუთხით, იმიტომ, რომ ამ ბრალდებების უკან არანაირი ვალიდური არგუმენტაცია არ არსებობს. შესაბამისად, მუშაობას ვაგრძელებთ ამ მიმართულებით და, იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში მოხდება მისი გათავისუფლება. რაც ეხება გიგა ოთხოზორიას საკითხს, ამ შემთხვევაში დე ფაქტო მთავრობა დაგვპირდა, რომ მომდევნო შეხვედრაზე მოიყვანენ დე ფაქტო სამხედრო პროკურატურის ნარმომადგენელს, რომელიც მის ხელთ არსებულ დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის, – განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახაბერ ქემოკლი-

მომდევნო შეხვედრა გალში 19 ოქტომბრისთვის დაინიშნა.

ნიუპოსტი

ታጠፉ6በᲚᲨᲘ 12 ᲬᲚᲘᲡ **ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ**

თბილისის რიტუალების სასახლეში უბედური შემთხვევა მოხდა. საქორწინო ცერემონიალის მიმდინარეობისას მცირეწლოვანი ბავშვი ე.წ. სავენტილაციო-საჰაერო სივრცეში შეძვრა და სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო. ბავშვის აღმოჩენა ერთი საათის შემდეგ მოხერხდა. ადგილზე გამოძახებულ იქნა სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, რომელმაც



ბავშვი ინგოროყვას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანა. ორდღიანი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა და ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, საქმე 124ე მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲐ–ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲐ 5–20 ᲙᲒ–ᲘᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ!

-მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯი მებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდებ ადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდე ბა ნივთიერებათა ცვლა და კუქ-ნანლავი. ორგა ნიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სის ალძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდებ იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა. ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

้เกองๆตัวขก ชสตกับ ขวษิตัวบก, บธสงซก ตง ᲔᲤᲔᲥᲖᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ 1-ᲓᲐᲜ 25 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ

კურსით **3-5** სმ-ის მომატებით. ვიტამინების ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით მაღალეფექტუ

577-29-37-41, 247-58-83



– ვისაც წითელი ხიდიდან სარფამდე უმგზავრია, ყველა ხედავს, რომ მუშაობა ყველგან მიდის. ამას ვერ ხედავენ მარტო რომან გოცირიძე და მისი პატრონები ოდესაში.

ასე გამოეხმაურა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი ინტერპრესნიუსთან საუბრისას ნაცი-พธิง พากับ อิกาส์ ลาง เมื่อสู่ พากับ เมื่อสู่ พากับ อิการ์ ลูการ์ ลูการ ცირიძის მიერ "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამის კრიტიკას.

როგორც ნოდარ ჯავახიშვილმა აღნიშნა, ის გაოცებულია, რომ კომენ-ტარის გაკეთება ამ არაადეკვატური კაცის ნაბჟუტურევზე უწევს.

– კაცი – "გოცირიკების" გამომშვები კუპონჩიკა, როცა წარმოიდგენს, რომ ლარი მაგის გაკეთებულია, კუპონები ჯავახიშვილის გამოშვებულია და ამას საზოგადოებას მიაწვდის, ამ ადამიანთან საერთოდ შეიძლება რამეზე სერიოზულად საუბარი?! მე ამას წინათ ვთქვი, რომ მადლიერმა ქართველმა ხალხმა კუპონს "გოცირიკები" შეარქვა, გოცირიძეს კი — კუპონჩიკა" და ეს კაცი ამბობს, ლარი მე გავაკეთე და ჯავახიშვილმა კუპონები გამოუშვაო.

ახლა მაგის ნაბჟუტურევზე გეტყვით კიდევ – თქვენ, ჟურნალისტებმა ხომ კარგად იცით, რომ გორიდან ხაშურამდე გზა ჩვენ კარგა ხნის წინ გავხსენით და ბედნიერად გადაადგილდებიან საქართველოს მოქალაქეები თუ უცხოელები. კაცი ამ სამ ტყუილს რომ იტყვის, მე-4 რატომ იქნება სიმართლე?! – განაცხადა ჯავახიშვილმა. მისივე თქმით, ავტობანზე ყველა

მონაკვეთზე დაფინანსების წყაროც და დონორიც მოძიებულია. ზოგი მონაკვეთის პროექტირებაზე ტენდერია გა-მოცხადებული, ზოგის პროექტირებაა დაწყებული და ზოგის მშენებლობა მიმდინარეობს.

– როცა დასჭირდება მაგ არაადეკვატურ პიროვნებას, მობრძანდეს და ვანახებ დოკუმენტებს, თუ თქვენ დაგჭირდებათ, თქვენც განახებთ. ასეთი უპასუხისმგებლო ადამიანები დიდ-

ცოცხლობენ და მოესწრება ბატონი რომანიც. 2020 წელს ვილაპარაკოთ მაგაზე. ვისაც წითელი ხიდიდან სარფამდე უმგზავრია, ყველა ხედავს, რომ ყველგან მუშაობა მიდის. ამას ვერ

6M&7% %737%130%1

"ՇԱՐԱԳՅԱՐԸ ԱՉԸՇՔԵՄԵՐ ԳՐԻՐԻ ԳՐԻՐԻ ԱՐԵՐԻՍԻՍՈՐԵՐ ԱՐԵՐԻ ԱՐԵՐԵՐԻ ԱՐԵՐԻ ԱՐԵՐԻ

ვახიშვილმა. მანამდე რომან გოცირიძემ გა-ნაცხადა, რომ კომიკურ სახეს იძენს დაპირება, რომ 8 მილიარდ ლარზე

ხედავენ მარტო გოცირიძე და მისი პატრონები ოდესაში, — განაცხადა ჯა-

რომან გოცირიძე: "მთავრობა ზღაპრებს გვიყვება"

177

მეტს ახალი გზების მშენებლობაზე და-

ნოდარ ჯავახიშვილს სააკაშვილის ეკონომიკური მრჩევლისგან მსგავსი განცხადება არ უკვირს.

– არ აწყობს და, აბა, რა უნდა თქვას, ტაში დაუკრას სააკაშვილის ეკონომიკურმა მრჩეველმა, სხვა რა უნდა თქვას?! – იკითხა ჯავახიშვილმა.

* * * მანამდე რომან გოცირიძე "ქარ-

თული ოცნების" წინასაარჩევნო პროგ-რამას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს ძველი კურსის გაგრძელებაა, რომელმაც ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

მისი თქმით, საარჩევნო პროგრამის ძირითადი წყარო შთავრობის მიერ მკვდრადშობილი "პროგრამა 2020"-ია, რომელიც თაროზე შემოდეს და მთავრობის ე.წ. 4-პუნქტიანი გეგმით ჩაანაცვლეს.

